ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №88

ქ.ბათუმი **3 ივნისი, 2022 წელი**

ერთი მხრივ, აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი უფროსის მამუკა თურმანიძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორე მხრივ შ.პ.ს „ეკონათება” წარმოდგენილი დირექტორის შორენა თავდგირიძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. შესყიდვის ობიექტია: ელ-სადენის - CPV კოდი 44321000 – 1140.00 ლარი, ხელის ინსტრუმენტი მასის დამჭერი - CPV კოდი 44300000 – 125.00 ლარი და ელ.შემდუღებელი აპარატის სათვალის - CPV კოდი 33734000 – 100.00 ლარი, გამარტივებული შესყიდვა, შემდგომში „საქონელი“.
1.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს 1 365 (ათასსამასსამოცდახუთი) ლარს.
1.3 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა,რაოდენობა და ერთეულის ღირებულება განისაზღვრება დანართი №1ით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. საქონლის მიღება - ჩაბარება

1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარებას ახორციელებს დეპარტამენტის ლოჯისტიკისა და ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის სამსახური.
2.მიღება-ჩაბარების აქტის, ანგარიშფაქტურის/ინვოისის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მიღებული საქონლისათვის.
3. წუნდებული საქონლის მოწოდების დადასტურების შემთხვევაში, მიწოდების ხარჯები დაეკისრება მომწოდებელს. ამ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

3. გარანტია და საქონლის შესაბამისობა

1. მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს, ხარისხობრივ მონაცემებს და პასუხობდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.
2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს რაიმე დეფექტს, მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში.
3. საქონლის მიღების დროს დეფექტის ან ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა განახორციელოს ხარვეზის გამოსწორება ან აუცილებლობის შემთხვევაში (როდესაც დეფექტის გამოსწორება არ ხერხდება) წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.
4. წუნდებული საქონლის მოწოდების დადასტურების შემთხვევაში, მიწოდების ხარჯები დაეკისრება მომწოდებელს.
5. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მისი მხრიდან აღნიშნული ქმედება ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვან შესრულებად და დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად.

4. ანგარიშსწორება

1. შემსყიდველის მიერ მიღებულ საქონელზე ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, შესაბამისი სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
2. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ მოსაწოდებელი საქონლის ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს

მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო დაკისრებული ჯარიმა ან/და პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუკავოს (გამოუქვითოს) მიმწოდებელს ასანაზღაურებელი თანხიდან და გადარიცხოს ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

3.ნებისმიერი ცვლილება,რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6.მხარეთა პასუხისმგებლობა

1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ერთჯერადად დაეკისრება ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს პირგასამტეხლო არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

2 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში (მიმწოდებლის მიზეზით), მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს პირგასამტეხლო არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადასახდელი თანხის 0,2% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ისოდენობით.

5. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმებისა და პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ს, შესყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ჯარიმებისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

1.ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება ორმხრივი შეთანხმებით დანართის ფორმით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

4. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე. (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

ე)მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

8. ფორს-მაჟორი

1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.
3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.
2. კონტროლს ხელშეკრულების პირობების შესრულების მიმდინარეობაზე განახორციელებს დეპარტამენტის ლოჯისტიკისა და ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის სამსახური, ხოლო საერთო კონტროლს დეპარტამენტის უფროსის დარგის კურატორი მოადგილე.

10. სხვა პირობები

1 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
3. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
5. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
7. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის, ფაქსის სახით ან ელფოსტით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
8. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
9. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან გონივრულ ვადაში დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
10. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

11. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორმხრივად (შემსყიდველის და მიმწოდებლის მიერ) ელექტრონულად ხელმოწერილი სახით, რომელსაც გააჩნია იურიდიული ძალა, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12 ინვოისი თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

1. მოწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.
2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
აჭარის ა.რ.ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო-დაწესებულება საავტომობილო გზების დეპარტამენტი	**შპს „ეკონათეგა“**
ქ. ბათუმი ჯავახიშვილის №72ა	**ქ. ბათუმი, ბარათაშვილის ქ. N36**
ელ.ფოსტა-info@ajararoads.ge	**საიდ. კოდი: 445 471 132**
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 538 333	**მიმღები ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"**
დეპარტამენტის უფროსი:	**ბანკის კოდ ი: BAGAGE22**
მამუკა თურმანიძე	**ანგარიშის #**
Mamuka Turmanidze Digitally signed by Mamuka Turmanidze Date: 2022.06.03 17:47:08 +04'00'	**GE16BG0000000563907500**
	დირექტორი:
	შორენა თავდგირიძე
	Shorena Tavdgiridze Digitally signed by Shorena Tavdgiridze Date: 2022.06.03 19:35:54 +04'00'

ინვოისი

შპს ეკონათება 445471132
მისამართი: ზარათაშვილის 36
დირექტორი: შორენა თავდგირიძე

თარიღი: 06.05.2022
ინვოისის №: 932
გადახდის ვადა: 0

გადამხდელი: **აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწ. დაწეს. - საავტომობ.გზებისა და ।**
საიდენტიფიკაციო კოდი: 245538333
მისამართი: ქ.ბათუმი ჯავახიშვილის 72ა
ტელეფონი: 577404135 ფრიდონ

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	ავვგ 3*25+1*16 ელ სადენი	მეტრი	60	19,00	1 140,00
2	1 MD 50-ხელის ინსტრუმენტი მასის დამჭერი	ცალი	10	25,00	250,00
3	ელ.შემდურებელი აპარატის სათვალე(198)	ცალი	10	20,00	200,00
		ჯამი (GEL):	**80,00**		**1590,00**

საბანკო რეკვიზიტები

მიმღები: შპს ეკონათება ახალი
ბანკის დასახელება: საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE16BG0000000563907500GEL

ეკონათება EKONATEBA 445471132 GEORGIA

ხელმოწერა

დანართი N1

N	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ფასი	ჯამი
1	**ხელის ინსტრუმენტი მასის დამჭერი (დერჟატელი)**	ცალი	**5**	**25**	**125**
2	**ელ შედუღების აპარატის სათვალე (მასკა)**	ცალი	**5**	**20**	**100**
3	**ელ სადენი 3*25+ 1*16**	მეტრი	60	19	**1140**
					1365

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი **2022 წელი**

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ელსადენის (CPV კოდი 44321000), ხელის ინსტრუმენტი მასის დამჭერი (CPV კოდი 44300000) და ელ.შემდუღებელი აპარატის სათვალის (CPV კოდი 33734000) გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებით 2022 წლის 03 ივნისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის №88 ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელ შ.პ.ს. „ეკონათება“-სთან (ს/ნ-445471132) ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

დეპარტამენტის უფროსი: Mamuka Turmanidze Digitally signed by Mamuka Turmanidze Date: 2022.06.03 17:46:35 +04'00' მამუკა თურმანიძე